

სუბროგაცია და დაზღვეული პირის უფლებები პასუხისმგებლობის
დაზღვევისას (ქართული და ევროკავშირის სამართლის შედარებითი
ანალიზი)

ნინო აკოფოვი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ქოჩიაშვილი - სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავდ წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

ნინო აკოფოვი

15.06.2025

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სუბროგაციის ინსტიტუტის სამართლებრივ ანალიზსა და დაზღვეული პირის უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებში. კვლევა მიზნად ისახავს, რომ გაანალიზოს სუბროგაციის მოქმედება და მისი გავლენა მხარეთა უფლებებზე როგორც ქართულ, ასევე ევროკავშირის ქვეყნების სამართალში. სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მიერ დაზღვეულის მოთხოვნის უფლების განხორციელების მექანიზმი მესამე პირის მიმართ, წარმოადგენს სამართლებრივი სამართლიანობისა და უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის მნიშვნელოვან იურიდიულ ინსტრუმენტს.

კვლევის ძირითადი ამოცანებია: სუბროგაციის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, მისი ცესიისა და რეგრესისგან გამიჯვნა, დაზღვეული პირის უფლებების დაცვა სუბროგაციის პირობებში, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება ქართულ სამართალში და ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილების ანალიზი. ნაშრომი ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ, ანალიტიკურ მეთოდოლოგიას.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ სამართალში არსებული პრობლემების შეფასებას, განსაკუთრებით კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკას, ხანდაზმულობის ვადებს, ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებას. ნაშრომში განხილულია სუბროგაციის გამოყენება ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ინგლისურ სამართალში, ასევე ანგლოსაქსური სისტემის, აშშ-ს შესაბამისი მიდგომები.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ქართულ სამართალში სუბროგაციის ინსტიტუტი საჭიროებს ტექნიკურ გაუმჯობესებას, მკაფიო გამოყოფას ცესიისა და რეგრესისგან, ზიანის მოცულების განსაზღვრის გამჭვირვალე წესს და დაზღვეულის უფლებების დაცვას დელიქტური ურთიერთობების კონტექსტში. წარმოდგენილია რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწისა და სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: სუბროგაცია, დაზღვეული პირის უფლებები, პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადაზღვევო ურთიერთობა, დელიქტური პასუხისმგებლობა.

Abstract

The present master's thesis focuses on the legal analysis of the institution of subrogation and the assessment of the insured party's legal status under liability insurance. The aim of the research is to analyze the operation of subrogation and its impact on the rights of the parties involved, both in Georgian law and in the legal systems of European Union member states. Subrogation, as a mechanism that enables the insurer to exercise the insured's claim against a third party, represents an essential legal tool for ensuring justice and preventing unjust enrichment.

The main objectives of the study are: to define the legal nature of subrogation, to distinguish it from cession and recourse, to examine the protection of the insured's rights in the context of subrogation, to identify existing legal issues within Georgian law, and to analyze the experience of EU member states. The thesis is based on a comparative-legal and analytical methodology.

Special attention is paid to the assessment of existing problems in Georgian law — particularly the practical application of Article 832 of the Georgian Civil Code, the uncertainty surrounding limitation periods, restrictions related to family members, and inconsistencies in judicial practice. The thesis reviews the use of subrogation in French, German, Italian, and English legal systems, as well as relevant approaches from the Anglo-American (U.S.) system.

The research concludes that the institution of subrogation in Georgian law requires technical refinement, clear differentiation from cession and recourse, transparent rules for calculating damages, and effective protection of the insured's rights in the context of tortious relations. Recommendations are provided for the improvement of legislation and the harmonization of judicial practice.

Keywords: Subrogation, Rights of the Insured, Liability Insurance, Insurance Relationship, Tort Liability.